

Ibraim Goradze – a Writer and Translator
ობრაიმ გორაძე - მწერალი და მთარგმნელი

Elza Phutkaradze

Doctor of philology, Chief scientific researcher of Folklore,
Dialectology and Emigrant literature Department of
Batumi Shota Rustaveli State University
Niko Berdzenishvili Institute
e-mail: elza.phutkaradze@bsu.edu.ge
ORCID: <https://orcid.org/0009-0000-9800-2183>

Roin Malakmadze

PhD in history, Director/Chief Scientific Officer
at Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota
Rustaveli State University
e-mail: roin.malakmadze@bsu.edu.ge
ORCID: <https://orcid.org/0009-0005-9250-0524>

Abstract: The work deals with the creative activities of Ibraim Goradze. He was a victim of the repressions of 1937 and spent most of his life in Turkey. His translating activity is well known to the society and scientific circles. He used to translate from Georgian into Turkish and vice versa. However, as a writer, he is still unknown. However, we have obtained his archive. It is the archive that has preserved for us his manuscript, an autobiographical work – “My Tragic Fate”. Studying this interesting work from the different prisms and, at the same time, introducing, studying, and presenting Ibraim Goradze as the author of a remarkably emotional handwriting is the goal of the research. Accordingly, the research is relevant and innovative. The work introduces us to interesting details of Ibraim’s life, work, and creative activity. Through the familiarizing ourselves with biographical details a complete portrait of the author is drawn. At the same time, without any embellishment, he boldly introduces us to the era of that time, to the extremely difficult situation in the country and its villages. He tells us how both his village and the author himself became the victims of the misfortunes and repressions of that time. It is with particular heartache that he speaks to us about impoverished human relationships. He gives the detailed description how the people of this small village find themselves part of the evils of the epoch and then sacrifice themselves for the neighbors they grew up with, and how people can be made miserable by their “good” friends, those who grew up together in the village and spent their childhood years together, because of their well-being. It is precisely the fault of such people that results in Ibrahim's “tragic fate”. All of this is described

by the author without artistic or expressive means, thereby further emphasizing the intensity of the pain. Accordingly, the writing style is simple, yet with this simplicity, with a simple narrative, it deeply portrays the everyday life of his life, the darkness of the era, and gives us a glimpse into the heavy, troubled world of his soul.

Key words: literature; writer; translator; autobiographical-memoir

ელზა ფუტკარაძე

ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის
ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა
და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების
მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი
ელ-ფოსტა:

elza.phutkaradze@bsu.edu.ge

ORCID: <https://orcid.org/0009-0000-9800-2183>

როინ მალაკმაძე

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის
ინსტიტუტის დირექტორი/მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი
ელ-ფოსტა: roin.malakmadze@bsu.edu.ge

ORCID: <https://orcid.org/0009-0005-9250-0524>

აბსტრაქტი: ნაშრომი იბრაიმ გორამის შემოქმედებითი საქმიანობის საკითხებს ეხება. ის 1937 წლის რეპრესიების მსხვერპლი აღმოჩნდა და ცხოვრების დიდი ნაწილი თურქეთში გაატარა. საზოგადოებისა და სამეცნიერო წრეებისათვის კარგადაა ცნობილი მისი მთარგმნელობითი საქმიანობა. ის თარგმნიდა ქართულიდან თურქულ ენაზე და პირიქით. თუმცა როგორც მწერალი, ის უცნობია. ჩვენს ხელთაა მისი არქივი. სწორედ, არქივმა შემოგვინახა მისი ხელნაწერი, ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოები - „ჩემი ბედი ტრადიკული“. კვლევის მიზანი ამ სხვადასხვა კუთხით საინტერესო ნაწარმოების შესწავლაა და იმავდროულად, იბრაიმ გორამის, როგორც საოცრად ემოციური ხელწერის ავტორის გაცნობა, შესწავლა და წარმოჩენა. შესაბამისად, კვლევა აქტუალური და სიახლის შემცველია. ნაწარმოები იბრაიმის ცხოვრება-მოღვაწეობისა და შემოქმედებითი საქმიანობის საინტერესო დეტალებს გვაცნობს.

ბიოგრაფიული შტრიხების გაცნობით კი სრულყოფილი პორტრეტი იხატება ავტორისა. ამასთანავე, ყოველგვარი შელამაზების გარეშე, თამამად გვაცნობს იმდროინდელ ეპოქას, იმ უმძიმეს ვითარებას, რაც ქვეყანაში და მის სოფელშია. გვაცნობს ეპოქის ავბედითობის, რეპრესიების მსხვერპლი როგორ აღმოჩნდა მისი სოფელიცა და თავად ავტორიც. განსაკუთრებული გულისტკივილით გვესაუბრება გაღარიბებული ადამიანური ურთიერთობების შესახებ. დეტალურად გვიხატავს ამ პატარა სოფლის ადამიანები როგორ აღმოჩნდებიან ეპოქის სიავის ნაწილნი და შემდეგ როგორ სწირავენ მათ ერთად აღზრდილ მეზობლებს. მათი კეთილდღეობის გამო, „კარგი“ მეგობრების ხელით როგორ აუბედურებენ ადამიანებს, იმ ადამიანებს, ერთად რომ გაიზარდნენ სოფელში და ერთად გაუტარებიათ ბავშვობის წლები. სწორედ ასეთთა ხვედრის შედეგია იბრაიმის „ბედი ტრაგიკული“. ყოველივე ამას მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების გარეშე აღწერს ავტორი და ამით უფრო მეტადაა ხაზგასმული ტკივილის სიმძაფრე. შესაბამისად, წერის სტილი სადაა, თუმცა ამ სისადავით, მარტივი თხრობით, სიღრმისეულად გვიხატავს მისი ცხოვრების ყოველდღიურობას, ეპოქის სუსხს და გვახედებს მისი სულის დამძიმებულ, აფორიაქებულ სამყაროში.

საკვანძო სიტყვები: ლიტერატურა; მწერალი; მთარგმნელი; ავტობიოგრაფიულ-მემუარული.

შესავალი: იბრაიმ გორაძე იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა ცხოვრება ოდენ ერთი კაცის კუთვნილება არაა, ის ხალხისაა, მისი საბუდარი ხალხის გულშია, რამეთუ მის ყოველდღიურობას დაჰყვება ფიქრი სამშობლოზე, ფიქრი მშობელ ხალხზე. ტრაგიკული პიროვნება იყო ის. ჩვენი ქვეყნის ისტორიულმა წარსულმა მასაც დაატოვებინა სამშობლო და ცხოვრებისეული წლების ნაწილი თურქეთში გაატარა. თუმცა გულისყურით სამშობლოზეა მიყურადებული. მშობელი მიწის ძახილი, სისხლის ყივილი მოსვენებას აკარგვინებს და სწორედ ეს ძახილი აბრუნებს ისევ სამშობლოში.

იბრაიმ გორაძის ცხოვრება-მოღვაწეობა მრავალმხრივაა საინტერესო და იმავდროულად შეუსწავლელია. მისი არქივი ინახავს მისსავე მემუარულ-ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებს-„ჩემი ბედი ტრაგიკული“. ნაწარმოები მისივე ხელნაწერთაა ჩვენამდე მოღწეული. ამ სრულიად უცნობი მასალის საშუალებით ჩვენ ვეცნობით იბრაიმ გორაძის ბიოგრაფიის საინტერესო დეტალებს და უპირველესად კი, თუკი ის ცნობილია როგორც მთარგმნელი, ასევე, ის საოცარი ხელწერის ავტორიც აღმოჩნდა.

მეთოდები: სტატიაში გამოყენებულია ემპირიული მასალის დამუშავების, ანალიზის, სინთეზის, აღწერითი, კომპლექსურ-ინტენსიური კვლევის მეთოდები.

მსჯელობა/შედეგები: როგორც აღვნიშნეთ, ნაწარმოების სიუჟეტური ქარგა არაერთ საინტერესო ამბავსა თუ ფაქტს გვაცნობს, თუმცა ავტობიოგრაფიული ჟანრის თავისებურებიდან გამომდინარე, მწერლის გარშემო ტრიალებს. წერის სტილი მარტივია, თხრობა სადაა, უშუალო. მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების გარეშე გვესაუბრება მის ცხოვრებაზე, ღრმად გვახედებს მის შინაგან სამყაროში. ლამის გული სამზეოდ დაგვიდო. ისე აგვიღწერს თავს გადახდენილ ამბებს, თითქოს ხმიანდება მთხრობელის ხმა. იქმნება წარმოსახვა, რომ ნაწერს კი არ ვკითხულობთ, თითქოს გვესაუბრება და უშუალო დიალოგი იმართება მწერალსა და მკითხველს შორის, გულდია დიალოგი. თხრობის ეს ხერხი შემთხვევითი არაა. ამით უშუალოდ გვიყვება და უფრო შთამბეჭდავად, გულშიჩამწვდომად გვაცნობს მის ცხოვრებას. თხრობას არც სჭირდება მხატვრული ხერხები. მხატვრული ხერხები ის ტკივილია, სამანს გადასული სამშობლოს მონატრების გრძნობა რომ ჰქვია.

მთლიანობაში „ჩემი ბედი ტრადიკული“ საოცრად ემოციური მხატვრული ტილოა. ბუნებრივია, ესთეტიკური ზეგავლენის მომხდენიც. კითხულობ ნაწერს და ემოციურ, მტკივნეულ რკალში გახვევს და გაფიქრებს ნაამბობი. მხატვრული წარმოსახვა გიმძაფრდება და თვითნებურად უამრავი კითხვა იბადება. უფრო მეტიც, ზოგიერთი ცალკე აღებული დეტალიც კი მხატვრული სახეა. ნაწარმოები შინაარსობრივი მრავალფეროვნებით ხასიათდება. ნაწარმოების შინაარსის აღსაქმელად რამდენიმე მონაკვეთი შეიძლება გამოვყოთ: პიროვნული შტრიხების შემცველი დეტალები, მშობლიური სამოსახლო, მძიმე, სისხლიანი ეპოქა, გადასახლება და იქაური ცხოვრება, მიმოსვლა ქართველებით დასახლებულ ადგილებში, ფიქრი სამშობლოში დაბრუნებაზე, სუბიშვილებთან ურთიერთობის ეპიზოდები, ჭაბუა ამირეჯიბთან შეხვედრა, ახმედ მელაშვილის გაცნობა, მასთან ურთიერთობა და სხვა არაერთი საინტერესო ეპიზოდი, რომელთაც ლაიტმოტივად გასდევს ძახილი სამშობლოსაკენ!

ნაწარმოებიდან ვგებულობთ, რომ იბრაიმი სოფელ ხერთვისში, 1916 წელს დაიბადა. საზღვრის მიღმა დარჩენილი ძირძველი ქართული მიწების ბედი გაიზიარა მისმა სოფელმაც, მხოლოდ სამი ოჯახი დარჩა საქართველოში. მათ შორის იბრაიმისა. ის დიდი სიყვარულით გვესაუბრება მის ოჯახზე. იგონებს მამას, ბაბუას და განსაკუთრებით ბაბუას ადამიანობას უმადლის. ჩვენი კუთხის ავბედითი გამოძახილის ორომტრიალში მოექცა იბრაიმიც. რვა წლისა მედრესეში მიიყვანეს სასწავლებლად. სამი წელი დაყო აქ. 1926 წელს სოფელ გორგაძეთში გაიხსნა ქართული სკოლა და ამ სკოლაში აგრძელებს სწავლას. ასე გადიოდა წლები. დაოჯახდა, სოფლის ცხოვრებაში

ჩაება, კოლმეურნეობაში მოლარედ მუშაობდა, უმაღლესი განათლება არ ჰქონდა. და დადგა 1937 წელი - მისი ცხოვრების მძიმე ლაქა - ხალხის დაჭერა, დახვრეტა. ვერც მისი ოჯახი გადაურჩა ამ საშინელებას. ბაბუა, მამა და მისი ბიძა(იუსუფი) სიცოცხლის შენარჩუნების მიზნით გადაიხვეწნენ თურქეთში. იბრაიმ გორაძე იგონებს, რომ ამის შემდეგ არც მას ჰქონდა თავისუფალი ცხოვრება. ჩეკაში დაბარებები თავს აბეზრებდა. როგორ არ იცდილეს, მაგრამ ვერ შეძლეს მისი გატეხა. ისევ მამის დახმარებით იბრაიმ გორაძე ტოვებს სამშობლოს-დედის, ცოლის, ორი წლის ვაჟის ხასანისა და სამი თვის გოგონას ზეჟიეს ერთად: „ღამით, როდესაც ვეცლებოდი ჩვენს სახლ-კარს, დედას და ჩემს მეუღლეს თვალთაგან ცრემლები სდიოდათ და უხმოდ მოსთქვამდნენ. ძნელი ყოფილა დაშორდე შენს სახლ-კარს, სადაც დაიბადე და გაიზარდე, სადაც ფუსფუსებდნენ შენი დედა, შენი ცოლი. ყველას გული დარდით და მწუხარებით გვქონდა სავსე. რა დავაშავეთ?! რისთვის გვარგუნეს ეს მწარე ხვედრი და ბედი?! ადამიანმა რატომ ვერ უნდა იცოცხლოს უშიშრად თავის სამშობლოში? ბოლოს, რატომ სადღაც უცხოეთში უნდა მიებაროს მიწას და არა თავის მამულ-დედულში? ვინ არის ამ ბოროტების მქმნელი? რატომ არ ეცოდებათ ალაღმართალი ადამიანი?“ ვკითხულობთ ამონარიდს და მასთან ერთად ჩვენც გვზარავს რიტორიკული შეკითხვა - რა დავაშავეთ? ადამიანმა რატომ ვერ უნდა იცოცხლოს უშიშრად თავის სამშობლოში?

დიახ, „სად წაიყვან სადაურსა“ და ასე წაიყვანა განგებამ იბრაიმ გორაძე მუშში საცხოვრებლად. იძულებული იყო დაეტოვებინა მშობლიური სოფელი, ეზო-კარი, სადაც დაიბადა, გაიზარდა, დაოჯახდა. ის ხომ სიყვარულით ასაზრდოებდა ოჯახს, შრომით, გარჯით შოულობდა სარჩო-საბადებელს, მაგრამ მის ცხოვრებაშიც გამოჩნდა ე. წ. „კარგი“ მეგობარი. ასე იხსენებს მას იბრაიმი. ასეთების ხელებით ხდებოდა ხოლმე ოჯახების აწიოკება 37-იან წლებში. ეპოქის მსხვერპლი ასე აღმოჩნდა იბრაიმიც.

იბრაიმ გორაძის ცხოვრების მძიმე წელი - 1939 წლის 8 სექტემბერი, საღამოხანი, როცა ოჯახმა დატოვა სოფელი. შეუძლებელია ემოციის გარეშე წაიკითხო მწერლის გულისამონაკვნესი: „ 1939 წლის 8 სექტემბერი იყო, საღამოხანი იყო ჩვენი მწუხარებისა და დარდი-ვარამის შავი ჟამი. ვისაც არ განუცდია თავისი მშობლიური შემოგარენის მიტოვების ძნელი წუთები, ის ვერ გაიგებს ჩვენს გასაჭირს, ჩვენს მწუხარებას“.

ბუნებრივია, ჩვენც გვაფორიაქებს მისი გულიდან ამოკვნესილი მოთქმა. შეუძლებელია ცრემლის გარეშე წაიკითხო მშობლიურ გარემოსთან გამოთხოვების ეპიზოდები. კიდევ ერთი ტკივილიანი, ცრემლიანი გამოთხოვების მოწმე ვხვდებით ამდენი წლის შემდეგ: „სახლის ახლოს, ჩემი ხელით გაკეთებულ ღელის წისქვილთან რომ მივედი, გული ისე ამიძგერდა, მეგონა მკერდს გამოგლეჯდა. ავტირდი. თითქოს მეგონა სული ამომდიოდა. თითქოს ფეხები მებორკებოდა და ნაბიჯის გადადგმა მიჭირდა.“

ჩემო თავო, ვამბობდი ჩემთვის, გიჭირს რომ მოშორდე შენს დელეს, შენს წისქვილს, შენს ჭალას, მერე რაღა დაგემართება, როცა ვეღარ იხილავ შენს მშობლიურ მთებს?!”

ახლა მისი ცხოვრების გზას ჩვენც გავყვით მუშუმი. ერთმანეთს ჰგავს ყოფითი საზრუნავით დატვირთული დღეები, წლები. ადვილი არ იყო დამკვიდრება მუშუმი, მოახერხა წეში გამართულიყო, დურგლობას იწყებს. მაგრამ მის ცნობიერებას არ ასვენებს სამშობლოზე ფიქრი. სამშობლოს მძაფრი მონატრების გრძნობას ანელებს თურქეთის სხვადასხვა რაიონში, ქალაქსა თუ სოფელში მცხოვრები ქართველების მოძებნა-მონახულება და მათი ტკივილისა თუ სიხარულის გაზიარება. ნაწარმოებიდან ჩანს, რომ, როცა გაიგებს ქართველებით დასახლებულ ადგილს და თუნდაც სხვა საქმეზე გასული, სპონტანურად, იმწამსვე ანებებს თავს და ალაღბედად მიდის მათ სანახავად, მიდის სატვირთო მანქანით, ზოგჯერ ფეხითაც უწევს სიარული. ეს ფიზიკური დატვირთვა მისთვის არაფერია, სულის მალამოს დაეძებს უცხო მიწას შეხიზნული. ეს იყო მისი სულის საგზალი, ეს აძლებინებდა. დადის ბევრს, მის სისხლსა და ხორცს ეძებს. აკვირდება ქართველთა ზნე-ჩვეულებებს. ერთგან წერს: „ქართული ენა იმ სოფელშია შემორჩენილი, სადაც ნაკლები მისვლა-მოსვლა იყო, ძნელი მისასვლელი იყო“.

ასე ფიქრსა და სამშობლოს მონატრების გამანადგურებელ-დამთრგუნველ განცდებში გადიოდა წლები. აი, რას გვეუბნება ის: „ ამ დროის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ ერთი დღე რა არის, ერთი დღეც არ მეფიქროს ჩემს ნამდვილ სამშობლოზე - საქართველოზე. სევდა ჩემს სამშობლოზე გამუდმებით თან მდევდა და ვერ ვიშორებდი“.

ნაწარმოებიდან არაერთი საინტერესო ბიოგრაფიული შტრიხი იკვეთება. 1957 წლამდე იბრაიმ გორაძეს არავითარი ურთიერთობა არ ჰქონია საქართველოსთან. გაუსაძლისია ეს წლები მისთვის. რასაც არ უნდა აკეთებდეს, სამშობლოში დაბრუნების ფიქრი არ ასვენებს. გადაწყვიტა წერილი გამოეგზავნა საქართველოში. ის დიდი მადლიერების გრძნობით იხსენებს ბახრი ბეის-ფოსტის თურქ თანამშრომელს. სწორედ მისი დახმარებით შეძლებს წერილის გამოგზავნას მამიდასთან. ორი თვის თავზე პასუხიც მიიღო. ასე დაიწყო ნელ-ნელა დაბრუნება სამშობლოში. წერილებს უკვე სისტემატურად წერდა: „ასე მეგონა, რომ ჩემს მშობლიურ საქართველოში ვიყავი, მის ჰაერს ვსუნთქავდი, მის წყალს ვსვამდი და მის ბუნებას შევხაროდი“- წერს იბრაიმი.

იბრაიმს იმედი ჩაესახა, რომ ამდენი წლის ტანჯვას ბოლო მოეღებოდა. რწმუნდებოდა, რომ სამშობლოს ძახილი აქ, საქართველოში ჩამოიყვანდა. ამ წლებში მისი სულის საღბუნე გაზეთი „სამშობლო“ იყო. მისი ყოველი ახალი ნომრის გამოსვლა ნამდვილი დღესასწაული იყო მისთვის. აი, რას იგონებს ის: გაზეთის ყოველი ახალი ნომრის გამოსვლისას, მასთან

მოიყრიდნენ მეზობლები თავს და ყოველ ახალ ნომერს უკითხავდა. „ისე გაფაციცებული, მთელი გულისყურით მიგდებდნენ ყურს, ცდილობდნენ არცერთი სიტყვა არ გამორჩენოდათ“.

მისი ცხოვრების განთიადი, ახალი გათენებაა შეხვედრა ილიკო სუხიშვილთან, რომლის დახმარებით შეძლო ჯერ ტურისტად ჩამოსვლა და მერე კი, საბოლოოდ დაბრუნება სამშობლოში. ის გაზეთ „ჭურჩეთში“ წააწყდა ცნობას, რომ 1966 წლის 28 თებერვალს, სტამბოლში კონცერტებს იწყებდა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. იმ წამსვე ანკარისკენ გამოემართება. ხასან კურტანიძის ოჯახია მისი მასპინძელი. კონცერტის ბილეთები არ იშოვება. ბილეთი ხასანის უმცროსმა ძმამ, იუსუფმა, დაუთმო. მისი გული საგულეს აღარაა, როცა კონცერტს უყურებს. ყველაზე მეტად კონცერტზე ტაშს მე ვუკრავდიო-იგონებს იბრაიმი. ერთგან ვეღარ მოუთმენია და მთელი დარბაზის გასაგონად ხმამაღლა დაიძახა: გაუმარჯოს ქართველობას! სწორედ ამ ოვაციის დროს გაიცნო კინორეჟისორი გიორგი ასათიანი, რომელიც სუხიშვილებს ახლდა იქაური ქართველების მოსანახულებლად და გადასაღებად. გიორგი ასათიანის დახმარებით გაიცნო ილიკო სუხიშვილი. რა დროითაც ანსამბლი იქ დარჩა, იბრაიმი ყველგან დაყვებოდა მათ.

იბრაიმ გორამე ილიკო სუხიშვილის დახმარებით, 1966 წელს ტურისტად ჩამოდის საქართველოში. მანვე გააცნო ბათუმის საზოგადოებას იბრაიმი, ბათუმში, მათივე კონცერტების დროს. ამ კონცერტზე ილიკომ თქვა: ის თბილი დახვედრები, იმდენი ქართველი, რაც თურქეთშია, არსად მინახავსო. ერთი მათგანი დღეს ჩვენს კონცერტს ესწრება. ილიკოს წამოდგომა უთხოვია იბრაიმისათვის. ყველა მას რომ უცქეროდა, უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩენილა.

ნაწარმოები გვაცნობს მისი და ახმედ მელაშვილის ურთიერთობის შთამბეჭდავ ეპიზოდებსაც. ახმედი ხასან კურტანიძის მემკვიდრით გაიცნო. იბრაიმი დიდი სიყვარულით, კრძალვით იხსენებს პირველ შეხვედრას ახმედთან. აი, ეს ამონარიდიც: „ჩვენ უსიტყვოდ მივუახლოვდით ერთმანეთს, უსიტყვოდ გადავხვით და გადავკოცნეთ ერთმანეთი. მერე კარგა ხანს ასე უსიტყვოდ გაღიმებული შევცქეროდით ერთმანეთს თვალებში, არ ვლაპარაკობდით, მაგრამ ასე, ჩუმად, უთქმელად, ერთმანეთის ცქერასა და ჭკრეტაში ბევრი რამ ვუთხარით ერთმანეთს“. სწორედ ახმედთან შეხვედრამ უზიძგა იბრაიმს, რომ დაეწყო მთარგმნელობითი საქმიანობა. იბრაიმი უმაღლის ახმედს და მის დარიგებას: თარგმნე ისტორიული რომანები, აქაური ქართველებისათვის ეს უფრო საჭიროაო.

და მართლაც, თარგმნა „ჩაუმქრალი კერა“, იუსუფ ფაღავას „წინაპართა აჩრდილები“, ს. ქვარიანის „დიდი მოურავი“, „გიორგი სააკაძე“, უიარაღოს „მამელუქი“, აკაკის „ბაში-აჩუკი“, მ. ჯავახიშვილის რამდენიმე მოთხრობა.

თურქულიდან ქართულად თარგმნა: ფაქირ ბაიქურთის მოთხრობების კრებული „ჭორფლიანი ქალი“, მისივე „გველების შურისძიება“, იაშარ ქემალის „ინჯე მემედი“, ორხან ქემალის „უცნობი ქალი“, „ქალბატონის მამული“. ის აქარის მწერალთა კავშირის წევრადაც აირჩიეს.

მის მთარგმნელობით საქმიანობასთან დაკავშირებულია ერთი საინტერესო ეპიზოდი. ახმედ მელაშილი დაპირდა, რომ თუ თარგმნიდა ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიას“, აუცილებლად დაუბეჭდავდა. ამ მიზნით ის ჩამოდის თბილისში, შეხვდება მწერალს, რომ ნება აელო თარგმნაზე. ჭაბუა ამირეჯიბი თანხმდება, ოღონდ თხოვნაა, სიტყვასიტყვით ეთარგმნა, არ შეემცირებინა. მწერალთან განშორების შემდეგ, იბრაიმი გაივლის უცხოეთში მცხოვრებ ქართველებთან კულტურული ურთიერთობის განყოფილებაში და იქ გაიგებს ახმედ მელაშილის მკვლელობის ამბავს. მან ვეღარ შეძლო „დათა თუთაშხიას“ თარგმნა.

ნაწარმოების მძიმე ეპიზოდებს ენაცვლება იმედიანი განწყობა. იბრაიმმა საქართველოში დაბრუნების ნებართვა მიიღო. 1976 წლის პირველ იანვარს ის სამშობლოში ბრუნდება. სოფელში ცხოვრების ნება არ დართეს და ჯავახიშვილის ქუჩაზე გამოუყეს ბინა. აქ ცხოვრობდა ცოლთან, ემინე ქავთარაძესთან და სამ შვილთან ერთად. 1996 წელს, 90 წლის ასაკში გარდაიცვალა, დასაფლავებულია ქვედა ჩხუტუნეთში.

მთელი მისი ცხოვრება მუშში იყო ფიქრი სამშობლოში დაბრუნებაზე. ფიზიკურად იყო იქ, სული აქ, მშობლიურ სამოსახლოში დატოვა. საკუთარი მიწა-წყალი ემახდა. ვერ ისვენებდა და არ შეეძლო უცხო ცისათვის ეცქირა. ცდილობდა დაბრუნებულიყო საქართველოში. იბრაიმმა გერმანიაში, შვილთან ყოფნის დროს მიიღო თანხმობა სამშობლოში დაბრუნების შესახებ. წამოსვლის წინა დამეს გაუმჟღავნებს იბრაიმი შვილს ამ ამბავს. შვილი თხოვს დარჩენას, გაგიჭირდება იქ წასვლაო. საოცარი და შთამბეჭდავი, ემოციურია იბრაიმის პასუხი: „სამშობლოს სიყვარული გამიჭირდა“. აი, სამშობლოს მონატრების ამ უკიდევანო, ზღვარდაუდებელი მონატრების გრძნობამ, მშობლიური სამოსახლოს, ეზო-კარის სიყვარულმა დააბრუნა იბრაიმი სამშობლოში და მშობლიურმა მიწამ შეუკრა არტახები.

დიახ, ისევ სამშობლოს მონატრების გრძნობამ, მამისეული სამოსახლოს სიყვარულმა 1977 წელს ჩამოიყვანა გერმანიიდან იბრაიმის შვილი ალი იავუზ გორაძე. ემოციური და ცრემლების მომგვრელია მისი წერილი - „ჩემი საყვარელი საქართველო“, რომელიც გაზეთ „სამშობლოში“ დაიბეჭდა: „ძვირფასო ჩემო ქვეყანავ! ძვირფასო ჩემო ნათესავებო! მე თქვენ სიცოცხლეს მირჩევნიხართ, სიცოცხლეს.

...ახლა იქ, უცხოეთის კარგიც კი ჩემს თვალში გაუფერულდა, ანდა რა არის სამშობლოსთანა?! ჩემი სხეულის ყველა უჯრედმა გაიღვიძა, თითქოს სული ჩამედგა, მაგრამ დარდი გამიჩნდა-მალე ისევ დავტოვებ ჩემს

სამშობლოს და უცხოეთის გზას გავუდგები, მაგრამ იმ გზაზე მე ჩემს სამშობლოზე, ჩემს თბილისზე, ჩემს ბათუმზე ვიფიქრებ.

საქართველო ვინახულე და კიდევ უფრო შევიყვარე. ეს სიყვარული კიდევ უფრო მომიზიდავს აქეთ, არ მომცემს მოსვენებას და იდუმალად ჩამძახებს: არ დაგავიწყდეს შენი ქვეყანა, არ დაგავიწყდეს შენი ხალხი. გახსოვდეს შენი თბილისი, შენი ბათუმი! გახსოვდეს შენი მტკვარი, შენი ჭოროხი. მე ვუპასუხებ ამ ხმას: მახსოვს და მათკენ მელტვის უცხოეთში დაღლილი სული!

ნახვამდის ჩემო საქართველოვ! კვლავ შეხვედრამდე.“

ალი იავუზ გორამე

კიდევ არაერთ საინტერესო პიროვნულ-ბიოგრაფიულ დეტალებს ვეცნობით იბრაიმ გორამის ავტობიოგრაფიული ნაწარმოებით - „ჩემი ბედი ტრალიკული“. ნაწერი ღრმად გვახედებს მის სულიერ სამყაროში. თვალწინ ცოცხლდება აფორიაქებული, სხვაგან გულდაუდებელი, სამშობლოში დაბრუნების ფიქრით ჩაფიქრიანებულ-დადარდიანებული კაცის ყოველდღიურობა. კითხვისას კინოკადრით გაიელვებს მისი ცხოვრება სამშობლოს დატოვების მიმე წუთებიდან დაბრუნების სიხარულით გამოწვეულ ემოციურ წუთებამდე.

ამრიგად, „ჩემი ბედი ტრალიკული“ ემოციითა და ტრაგიზმით დატვირთული ნაწარმოებია, რომელიც ავტორის ბიოგრაფიის არაერთ უცნობ დეტალსა თუ პიროვნულ შტრიხს გვაცნობს. ნათლად ჩანს, რომ იბრაიმ გორამის მთელი ცხოვრება, მისი ყოველდღიურობის წუთები სამშობლოს უსაზღვრო მონატრების ტკივილითაა დამძიმებული და მშობლიურ სამოსახლოში დაბრუნების ფიქრი აძლებინებს უცხოეთის ცის ქვეშ.

ასე რომ, ასეთი ადამიანების ღვაწლი დიდია, განსაკუთრებით კი უცხოეთში მცხოვრებ ქართველებში ეროვნული ცნობიერების ამაღლების მიზნით. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მისი მოგზაურობა თურქეთში ქართველებით დასახლებულ ადგილებში მოლოცვის ტოლფასია. საკუთარ ხალხზე, ცნობიერებაზე, ენაზე ზრუნვაც ხომ გმირობაა. და საერთოდ, დიდია იბრაიმ გორამის წვლილი ქართულ-თურქული ლიტერატურული და საერთოდ, კულტურული ურთიერთობის განვითარებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

გორამე, 19: – გორამე იბრაიმი, ჩემი ბედი ტრალიკული (ხელნაწერი).

გორამე, 1977: – გორამე ალი იავუზ, ჩემი საყვარელი საქართველო, გაზეთი „სამშობლო“, 1977. ოქტომბერი. N 21.